სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ახალი და უახლესი ისტორია

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 4 სასპეციალიზაციო მოდულს:

1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია;
2. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)
3. შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი);
4. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი).

მისანიჭებელი ხარისხი: ისტორიის მაგისტრი / MA in History

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი

პროგრამის ანალოგი:
პროგრამის ზუსტი ანალოგი არ არსებობს. მსგავსი სახის პროგრამები არის მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტში, მაგალითად:

University of Oxford – The Master of Philosophy in Modern European History
http://www.history.ox.ac.uk/postgrad/pg_sect_b1_new.htm#m_meh

University of Cambridge – The Master of Philosophy in Modern European History
http://www.hist.cam.ac.uk/pgadmissions/mphil/modeuro.html

Columbia University – MA Program in International and World History
http://worldhistory.columbia.edu/home

University of London – MA in Contemporary History and Politics
http://www.bbk.ac.uk/study/pg/history/TMAHI_PO.html

University of Sussex – MA in Contemporary History
http://www.sussex.ac.uk/history/1-2-4-1.html

University of Nottingham – MA in Politics and Contemporary History
http://pgstudy.nottingham.ac.uk/School/Courses/overview.aspx?id=213

University of Bristol – MA in Contemporary History
http://www.bristol.ac.uk/history/pg/macontemp.html

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ჰუმანიტარულ, სოციალურ-პოლიტიკურ, იურიდიულ, ან ეკონომიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი;
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი _ სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-მკვლევრების მომზადება ახალი და უახლესი ისტორიის დარგში.

ახალი და უახლესი ისტორია არის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთი, რომლისადმი ინტერესი მთელ მსოფლიოში ყოველთვის უდიდესი იყო და დღესაც ყველაზე მეტად შესწავლადი დარგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დარგს დაფუძნების პერიოდიდანვე ექცეოდა დიდი ყურადღება, რაც გამოიხატა კიდეც XXს. 30-იანი წლების შუახანებში ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ჩამოყალიბებაში. ქართველი მეცნიერები ყოველთვის ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ მსოფლიო ისტორიულ აზროვნებას, და, რასაკვირველია, დღეს, როდესაც საქართველო მიისწრაფვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, მას ნამდვილად სჭირდება ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტები.

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის მთავარი ამოცანაა, მისცეს მაგისტრატურის მსმენლებს ღრმა ცოდნა ახალ და უახლეს ისტორიაში. ამას ემსახურება ის სალექციო კურსები და სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა (როგორც უშუალოდ ლექტორთან, ისე დამოუკიდებლად), რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით. პროგრამის გავლის შემთხვევაში სტუდენტს ექნება სრული წარმოდგენა ახალი და უახლესი ისტორიის სფეროში არსებულ ძირითად თეორიულ მიდგომებზე. ამავე დროს, ის მიიღებს კონკრეტულ ცოდნას ევროპისა და ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, შორეული აღმოსავლეთის ისტორიაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე აღნიშნულ პერიოდში. პროგრამა იყოფა ოთხ მოდულად: 1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია; 2. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); 3. შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); 4. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში. გარდა საერთო საგნებისა, თითოეულ მოდულს გააჩნია თავისი სავალდებულო და არჩევითი საგნები.

ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობით მაგისტრის მომზადების ნორმატიული ვადაა 2 წელი. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად კურსდამთავრებულს მაგისტრატურაში სწავლის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს 120 კრედიტი (1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს), მათ შორის 90 საკონტაქტო (ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები) კრედიტი და 30 დამოუკიდებელი მუშაობის (სამაგისტრო ნაშრომი) კრედიტი.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება _ მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს: სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ათვისება, კითხვა და გააზრება; თანამედროვე მსჯელობის მიმდინარეობებისა და საკითხების ცოდნა; კაცობრიობის წარსულის ერთი ან მეტი პერიოდის სპეციალიზებული ცოდნა; კვლევის საგნის დასახვის უნარი, იმისთვის, რომ წვლილი შეიტანოს ისტორიოგრაფიულ ცოდნასა და დებატებში; მსოფლიო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტირების უნარი; ევროპული მოვლენების, განვითარებებისა და პოლიტიკის, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ

ჩარჩოებში ინტერპრეტირების უნარი;

პრაქტიკული უნარები _ მაგისტრს უნდა გამოუმუშავდეს არა მხოლოდ ქართული, არამედ დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით საკვლევი ტექსტებისადმი კომენტარების დართვის უნარი; თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით მასალის დამუშავების უნარი; დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობის უნარი; განსხვავებული დისციპლინარული მეთოდოლოგიების ინტეგრირებულად გამოყენების უნარი;

ზოგადი/ტრანსფერული უნარები _ მაგისტრს უნდა შეეძლოს სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერილობითი თუ ზეპირი პრე-ზენტაცია; საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული და ლოგიკური არ-გუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათის უნარი; მრავალმხრივი მასალის თანმიმდევრული ორგანიზების უნარი; საკუთარ თუ უცხო ენაზე წერის უნარი; კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი ქართულ და ერთ-ერთ საერთაშორისო ენაზე შესაბამისი ტერმინოლოგის გამოყენებით; ინტერნეტ-რესურსების გამოყენების უნარი.

დასაქმების სფეროები _ ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრს შეუძლია მუშაობის გაგრძელება როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ სფეროში. ის შეიძლება დასაქმდეს საშუალო და უმაღლეს სკოლაში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, მას-მედიის საშუალებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ სექტორში.

სწავლის გაგრძელების საშუალება _ ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობის მაგისტრი მომზადებულია სწავლის გასაგრძელებლად მესამე საფეხურზე _ დოქტორანტურაში.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

კოდი	საგნის/მოდულის სახელწოდება	სტატუსი	ECTS კრედიტები
ყველა მოდულისათვის სავალდებულო კურსები			
	ისტორიის მეთოდოლოგია	სავალდებულო	10
	ისტორიის დიდაქტიკა	სავალდებულო	5
	აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს ხანაში	სავალდებულო	5
სავალდებულო კურსები I მოდულისათვის _ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია			
	ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია	სავალდებულო	10

	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში	სავალდებულო	10
სავალდებულო კურსები II მოდულისათვის _ ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)			
	პოლიტიკური, სოციალური და კულ-ტურული პროცესები ახლო აღმოსავ-ლეთის ქვეყნებში (ახალი და უახლესი პერიოდი)	სავალდებულო	10
	საქართველო-ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობის ისტორია	სავალდებულო	10
	ისლამური ფუნდამენტალიზმი	სავალდებულო	10
	ისტორია, როგორც მეცნიერება	სავალდებულო	5
	მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია	სავალდებულო	5
სავალდებულო კურსები III მოდულისათვის _ შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)			
	შორეული აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორია	სავალდებულო	10 (5+5)
	კულტურათა დიალოგი შორეულ აღმოსავლეთში	სავალდებულო	5
	შორეული აღმოსავლეთის ბუდისტური სამყარო	სავალდებულო	5
	ჩინური ან იაპონური ენა	სავალდებულო	15(5+5+5)
სავალდებულო კურსები IV მოდულისათვის _ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში			
	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში	სავალდებულო	10
	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია (სამაგისტრო პროგრამიდან «საერთაშორისო ურთიერთობები»)	სავალდებულო	5
	საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლები	სავალდებულო	5
	ცივი ომი და საბჭოთა კავშირის დაშლა	სავალდებულო	10
არჩევითი საგნები			
	მეორე მსოფლიო ომის ისტორია (I მოდული)	არჩევითი	10
	საფრანგეთი ბურჟუაზიული რევოლუ-ციისა და ნაპოლეონის ეპოქაში (I მოდული)	არჩევითი	5
	ინგლისი XVII საუკუნეში (I მოდული)	არჩევითი	5
	დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში (I მოდული)	არჩევითი	10
	რეფორმები თუ რევოლუცია: დასავ-ლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს მაგალითზე (I მოდული)	არჩევითი	5

	ქალი XX საუკუნის მსოფლიო ისტორიაში (I მოდული)	არჩევითი	5
	ტოტალიტარული რეჟიმები XX საუკუნეში (I მოდული)	არჩევითი	5
	რუსეთის უახლესი ისტორია (1945-2006) (I მოდული)	არჩევითი	5
	საქართველო-რუსეთის ურთიერ-თობების ისტორია და თანამედ-როვეობა (I მოდული)	არჩევითი	5
	რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიოგრაფია (ძირითადი ტენდენციები) (I მოდული) (I მოდული)	არჩევითი	5
	ევროპა XVI საუკუნეში	არჩევითი	5
	ინტელექტუალური იდეები და პოლიტიკური პროცესები აღმოსავლეთ ევროპასა და სსრკ-ში (1953-1989 წლებში) (I მოდული)	არჩევითი	5
	სპარსული ენა (II მოდული)	არჩევითი	10 (5+5)
	არაბული ენა (II მოდული)	არჩევითი	10 (5+5)
	თურქული ენა (II მოდული)	არჩევითი	10 (5+5)
	ებრაული ენა (II მოდული)	არჩევითი	10 (5+5)
	ისლამი და გენდერი ახლო აღმოსავლე-თის ქვეყნებში (II მოდული)	არჩევითი	10
	ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (II მოდული)	არჩევითი	5
	რელიგია და სახელმწიფო ახლო აღმო-სავლეთში (II მოდული)	არჩევითი	10
	იაპონიის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (III მოდული)	არჩევითი	5
	ჩინეთის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (III მოდული)	არჩევითი	5
	იაპონური კულტურა (III მოდული)	არჩევითი	10
	შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე (ლიდერები და ინსტიტუტები) (III მოდული)	არჩევითი	5
	აღმოსავლური ეთიკური თეორიები (III მოდული)	არჩევითი	5
	შორეული აღმოსავლეთის რელიგიები (III მოდული)	არჩევითი	5
	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (სამაგისტრო	არჩევითი	5

	პროგრამიდან «საერთაშორისო ურთიერთობები») (IV მოდული)		
	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა (ჯ. ვაშინგტონიდან ჯ. ბუშამდე) (სა-მაგისტრო პროგრამიდან «ამერიკის-მცოდნეობა») (IV მოდული)	არჩევითი	5
	რუსული დიპლომატია XIX-XX საუკუნეებში (სამაგისტრო პროგრამი-დან «რუსეთისმცოდნეობა და აღმოსავლეთ ევროპის მცოდნეობა») (IV მოდული)	არჩევითი	5
	საქართველო საერთაშორისო ურთიერ-თობებში ათასწლეულების მიჯნაზე (IV მოდული)	არჩევითი	5
	ტერორიზმი ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში (IV მოდული)	არჩევითი	10
	საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების მოგვარებაში (სამაგისტრო პროგრამიდან «საერთაშო-რისო ურთიერთობები») (IV მოდული)	არჩევითი	5
	ლათინური ამერიკა საერთაშორისო ურთიერთობებში (IV მოდული)	არჩევითი	10
	დაზვერვის ისტორია (IV მოდული)	არჩევითი	5
	სასულიერო და რაინდული ორდენები და მათი როლი მსოფლიო პოლიტიკაში (IV მოდული)	არჩევითი	5
	რომის პაპების დიპლომატია ახალ და უახლეს პერიოდში (IV მოდული)	არჩევითი	5
	საქართველოს საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში 1918-1933 წლებში (IV მოდული)	არჩევითი	5
	დიპლომატიური პროტოკოლი (IV მოდული)	არჩევითი	5
	ინგლისური ენა (საუნივერსიტეტო კურსი)	არჩევითი	10 (5+5)
	სამაგისტრო ნაშრომი	არჩევითი	30

კვლევითი კომპონენტი: 30 კრედიტი _ სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ორიგინალურ კვლევას ეროვნული თუ მსოფლიო ისტორიოგ-რაფიისათვის აქტუალურ პრობლემაზე. მისი მოცულობა უნდა იყოს 60-100 ნაბეჭდი გვერდი (AcadNusx 12-14; 1,5).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

ფაქტობრივი მასალის ფლობა _ 20 ქულა;

გადმოცემის თანმიმდევრულობა, არგუმენტაცია _ 20 ქულა;
კვლევისა და ანალიზის უნარი, სამეცნიერო სიახლე _ 30 ქულა;
ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა _ 10 ქულა;
ნაშრომის წარდგენა (პრეზენტაცია) _ 20 ქულა

სამეცნიერო თემატიკა, რომლის ფარგლებში მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა:
ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის დაწერა ახალ და უახლეს პერიოდში ევროპისა და ამერიკის ქვეყნების, ახლო აღმოსავლეთის, შორეული აღმოსავლეთის და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ნებისმიერ აქტუალურ საკითხზე.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ-სა და საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, სხვადასხვა არქივების, წიგნთსაცავებისა და ინტერნეტ-რესურსების ბაზაზე.

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში
გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმატით. გამოცდა შეფასდება 100 ქულიანი სისტემით. ბილეთში შედის 4 საკითხი, თითოეული
საკითხი ფასდება მაქსიმუმ 25 ქულით. გამსვლელი ქულა 51.

საგამოცდო საკითხები:

1. ინგლისი 1625-1660 წლებში (ჩარლზ I-ის მეფობა; უპარლამენტობის ხანა; სამოქალაქო ომები; ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა და რესპუბლიკის გამოცხადება; კრომველის მმართველობა; სტიუარტების რესტავრაცია).

ლიტ.: ვაჟა თვალავაძე. ახალი ისტორია. I პერიოდი. 1640-1815. თბ., 2005; მ. კალანდაძე. ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., 2005; ი. მენთეშაშვილი. ინგლისის ისტორია. თბ., 2004; გ. კიღურაძე. XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია. წ. 1-2. თბ., 1979.

2. 1789წ. საფრანგეთის რევოლუცია და ნაპოლეონის ეპოქა (რევოლუციის დასაწყისი და მიმდინარეობა 1789-1792 წლებში, რესპუბლიკის დამყარება; საფრანგეთის რესპუბლიკა 1792-1799 წლებში; ნაპოლეონის ეპოქა).

ლიტ.: ვაჟა თვალავაძე. ახალი ისტორია. I პერიოდი. 1640-1815. თბ., 2005; კ. ანთაძე, მ. კალანდაძე. საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., 2005.

3. პირველი მსოფლიო ომი (დაყოფა ქვეთავების მიხედვით).

ლიტ.: თ. პაპასქირი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბ., 2009, გვ. 15-38.

4. გერმანია XXს. 30-იან წლებში (გერმანია 1930-1932 წლებში; გერმანია 1933-1934 წლებში; გერმანიის საშინაო მდგომარეობა 1934-1939 წლებში; გერმანიის საგარეო პოლიტიკა 1934-1939 წლებში).

ლიტ.: თ. პაპასქირი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბ., 2009, გვ. 107-126.

5. აშშ XXს. 50-60-იან წლებში (აშშ 1945-1952 წლებში; აშშ ეიზენჰაუერის პრეზიდენ-ტობის პერიოდში; აშშ XXს. 60-იან წლებში).

ლიტ.: თ. პაპასქირი. უახლესი ისტორია. სალექციო კურსი. იხ. ვებ-გვერდი: http://tpapaskiri.googlepages.com/home22 (ქვეგანყოფილება სტუდენტებისათვის).

6. ბისმარკი და გერმანიის გაერთიანება (1862-1871 წლები).

ლიტ.: ვაჟა თვალავაძე. ახალი ისტორია. II პერიოდი. 1815-1870. თბ., 2005; თ. პაპასქირი. დიპლომატიის ისტორია (XVI-XIXსს.). სალექციო კურსი. იხ. ვებ-გვერდი: http://tpapaskiri.googlepages.com/home22 (ქვეგანყოფილება სტუდენტებისათვის).

7. საერთაშორისო ურთიერთობები მსოფლიო ომებს შორის (პარიზის საზავო კონ-ფერენცია და ვერსალის ზავი; გერმანიის რეპარაციების საკითხი, რურის ოკუპა-ცია, დაუესისა და იანგის გეგმები; „ოთხთა პაქტი“ და გერმანიის გასვლა ერთა ლიგიდან, ღერძის ხელშეკრულებისა და ანტიკომინტერნული პაქტის მომზადება და ხელმოწერა; სუდეტის კრიზისი და გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა; საერთაშორისო ურთიერთობები 1939წ., სსრკ-გერმანიის პაქტის გაფორმება და პოლონეთის დაპყრობა).

ლიტ.: თ. პაპასქირი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბ., 2009, გვ. 39-43, 50-52, 54-55, 214-224.

8. საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის დროს (მოლაპარაკებები მეორე ფრონტის გახსნის ადგილისა და დროის შესახებ 1942წ.; თეირანის კონფერენცია; ყირიმის კონფერენცია; პოტსდამის კონფერენცია; სან ფრანცისკოს კონფერენცია და გაეროს შექმნა).

ლიტ.: თ. პაპასქირი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბ., 2009, გვ. 305-312, 319-322, 330-343; თ. პაპასქირი. მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში. 1941-1943. თბ., 2002 (ელ. ვერსია იხ.: http://tpapaskiri.googlepages.com/teimurazpapaskiri% 27spublications3); თ. პაპასქირი. „დიდი სამეულის“ დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე. 1944წ. სექტემბერი _ 1945წ. მაისი. თბ., 2006 (ელ. ვერსია იხ.: http://tpapaskiri.googlepages.com/teimurazpapaskiri%27 spublications3).

9. საერთაშორისო ურთიერთობები 1945-1955 წლებში. „ცივი ომის“ დასაწყისი (ბერლინის 1948წ. კრიზისი და გფრ-სა და გდრ-ს შექმნა; დაპირისპირებული ბლოკების შექმნა; კორეის ომი).

ლიტ. თ. პაპასქირი. დიპლომატიის ისტორია (XXსს.). სალექციო კურსი. იხ. ვებ-გვერდი: http://tpapaskiri.googlepages.com/home22 (ქვეგანყოფილება სტუდენტებისათვის).

10. საერთაშორისო ურთიერთობები XXს. 80-90-იან წლებში (ავღანეთის ომი; სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ს დაშლა; მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში: ომი სპარსეთის ყურეში, ისრაელ-პალესტინისა და ისრაელ-იორდანიის 1994-1995 წლების სამშვიდობო შეთანხმებები).

ლიტ.: თ. პაპასქირი. დიპლომატიის ისტორია (XXსს.). სალექციო კურსი. იხ. ვებ-გვერდი: http://tpapaskiri.googlepages.com/home22 (ქვეგანყოფილება სტუდენტებისათვის).

11. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი.

ლიტ.: მ. სვანიძე. თურქეთის ისტორია. თბ., 2007; თ. პაპასქირი. დიპლომატიის ისტორია (XVI-XIXსს.). სალექციო კურსი. იხ. ვებ-გვერდი: http://tpapaskiri.googlepages.com/home22 (ქვეგანყოფილება სტუდენტებისათვის).

12. ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომები (1. „ექვსდღიანი ომი“; 2. ,,იომ-ქიფურის ომი“).

ლიტ.: რ. გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბ., 2003; თ. პაპასქირი. დიპლომატიის ისტორია (XXსს.). სალექციო კურსი. იხ. ვებ-გვერდი: http://tpapaskiri.googlepages.com/home22 (ქვეგანყოფილება სტუდენტებისათვის).

13. ირანის ისლამური რევოლუციის მიზეზები.

ლიტ.: გ. სანიკიძე. შიიზმი და სახელმწიფო ირანში. თბილისი, 2005.

14. 2003 წლის ერაყის ომი და მსოფლიო.

ლიტ.: რ. გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბ., 2003;

15. აშშ-ს გეოპოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

ლიტ.: რ. გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბ., 2003.

16. იაპონია თვითიზოლაციის ეპოქაში და მისი შედეგები. იაპონიის ძალდატანებით გახსნა აშშ-ს მიერ (1854წ.).

ლიტ.: ვ. დონაძე. საზღვარგარეთული აზიის და აფრიკის ქვეყნების ახალი ისტორია. I. თბ., 1963; II, თბ., 1970; ალ. მენთეშაშვილი. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია. წ. II, (1799-1918). თბ., 2000; ნ. გელაშვილი. იაპონური კულტურა. თბ., 2001.

17. იაპონიის საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია XIX ს. უკანასკნელ მესამედში (ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან და აშშ-თან, ჩინეთ-იაპონიის ომი და მისი შედეგები, იაპონიის გადაქცევა იმპერიალისტურ კოლონიურ სახელმწიფოდ).

ლიტ.: ვ. დონაძე. საზღვარგარეთული აზიის და აფრიკის ქვეყნების ახალი ისტორია. I. თბ., 1963; II, თბ., 1970; ალ. მენთეშაშვილი. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წ. II (1799-1918), თბ., 2000.

18. ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა 1931-1937წწ. (იაპონიის გააქტიურება შორეულ აღმოსავლეთში; აგრესია ჩინეთის მიმართ).

ლიტ.: ვ. დონაძე, ალ. მენთეშაშვილი, ი. ცინცაძე. აზიისა და აფრიკის უახლესი ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. I, თბ., 1970; თ. პაპასქირი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბ., 2009, გვ. 275-281.

19. იაპონიის თავდასხმა აშშ-ზე და ომის მიმდინარეობა წყნარი ოკეანის რეგიონში 1941-1945 წლებში (იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე; ომის მიმდინარეობა 1942-1943 წლებში; საომარი მოქმედებები წყნარ ოკეანეში 1944-1945 წლებში, ომის დასასრული და იაპონიის კაპიტულაცია).

ლიტ.: თ. პაპასქირი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1914-1945. ნაკვ. I. თბ., 2009, გვ. 281-297.

20. ჩინეთი იაპონიის კაპიტულაციის (1945წ.) შემდეგ: გომინდანის პოლიტიკა, სამოქალაქო ომის გაჩაღება, მისი მიზეზები და შედეგები. აშშ-ს როლი ჩინეთში მიმდინარე პროცესებში.

ლიტ.: ვ. დონაძე, ალ. მენთეშაშვილი, ი. ცინცაძე. აზიისა და აფრიკის უახლესი ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. I, თბ., 1970.

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ თეიმურაზ პაპასქირს ტელეფონზე: 893 31 40 61; E-mail: tpapaskiri@gmail.com